პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

22
სექტემბერი
კვირა,
1963 წ.
№ 188 (2293)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბინძური ტერორი იოჰანესბურგში

იოჰანესბურგიდან (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) მოვიდა აღმაშფოთებელი ცნობა: სამხრეთაფრიკელმა რასისტებმა მუცელში მძიმედ დაჭრეს ხელოვნების ბაკალავრი, ლიტერატურული მოღვაწეობისათვის პრემირებული ლაურეატი, პოპულარული ლექსებისა და პოემების ავტორი, შესანიშნავი ჟურნალისტი და პედაგოგი, ორჯერ სეზონის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებული ოსტატი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის არარასობრივი ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე დენის ბრუტუსი. ორი სამარცხვინო გასროლა პისტოლეტიდან იყო ადგილობრივი თავაწყვეტილი რასისტების მოქმედებათა კანონზომიერი დაგვირგვინება იმ ბინძურ ბრძოლაში, რომელსაც ისინი ეწევიან თავიანთი ქვეყნის საუკეთესო ადამიანების რასიზმის წინააღმდეგ გამოსული ყველა პროგრესული მოღვაწის წინააღმდეგ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლებს ბევრჯერ უნდოდათ ანგარიში გაესწორებინათ დენის ბრუტუსისათვის, რომელიც თავგამოდებით იცავდა თავისი ქვეყნის სპორტსმენთა თანასწორუფლებიანობას კანის ფერისა და სარწმუნოების მიუხედავად. და აი ბოროტმოქმედება მოხდა სწორედ იმის წინ, როცა ეს-ესაა უნდა შეეკრიბოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგი სესია.

ეჭვი არ არის, რომ მთელი პროგრესული სპორტული საზოგადოებრიობა ამ სესიაზეც ხმას აიმაღლებს და სათანადო ზომებს მიიღებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბინძური პოლიტიკის საპასუხოდ, სამარცხვინო ბოძზე გააკრავს ყველას, ვინც უტიფრად მიჰყვება ფაშისტურ რასობრივ შეხედულებებს და ამ შეხედულებებით ხელმძღვანელობს როგორც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე ფიზკულტურულ მოძრაობასა და სპორტში.

რუსთავში წლიდან წლამდე სულ უფრო პოპულარული ხდება ქართული ჭიდაობა, რომლის საუკეთესო ტრადიციებიც ჩამოაქვთ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან სამუშაოდ ჩამოსულ ახალგაზრდებს. სულ უფრო ხშირად ტარდება აქ სხვადასხვა საინტერესო შეჯიბრებები, რომელთა რიგში შეიძლება დავაყენოთ ახლახანს დამთავრებული ასპარეზობა ქალაქის სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ფალავნობაზე.

• • •

**სურათებზე:** ზევით, მარცხნივ — აი, ასეთი მძაფრი მომენტებით იყო აღსავსე აღნიშნული შეჯიბრების ორთაბრძოლები. მარჯვნივ — ამ ორთაბრძოლებში გაიკაფა გზა გამარჯვებისაკენ სპორტის ოსტატმა ო. გრიგალაშვილმა, რომელიც მორიგ შეხვედრას იწყებს ა. ქარქუსაშვილთან. ქვევით — რუსთავის „განთიადის“ ფალავანს — ო. გრიგალაშვილს (აზოტოვანი სასუქების ქარხანა) გადასცემენ თასს.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

# ველით ახალ სიტყვას და საქმეს

ქართული ჭიდაობა ოდითგანვე იყო და არის ჩვენი ეროვნული სპორტის გვირგვინი, მისი სიამაყე.

სპორტის ეს სახეობა ჩვენი დროის არაერთი გამოჩენილი სპორტსმენის აკვანი ყოფილა. ჩვენ მხედველობაში მხოლოდ საქვეყნოდ ცნობილი ქართული ჭიდაობის დიდოსტატები — შ. გზირიშვილი, ზ. ბაკურაძე, ს. მაისურაძე და სხვები როდი გვყავს. ქართული ჭიდაობა დაედო საფუძვლად აგრეთვე მომავალი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების სპორტულ გზას, რომლებმაც შორს გაიტანეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული სახელი. და შეურცხვენლად ატარეს საბჭოთა სპორტის დროშა. ა. მეკოკიშვილი, ვ. ბალავაძე, მ. ცალქალამანიძე, ვ. რუბაშვილი, ზ. ბერიაშვილი, ა. კიკნაძე, დ. ბერუაშვილი, ა. ქიბროწაშვილი და მრავალი სხვა გამოჩენილი მოჭიდავე, რომელთა სახელები უკვე გასცდა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ფარგლებს, სწორედ ეროვნული ჭიდაობის წიაღიდან, მისი უმდიდრესი ტრადიციების საფუძველზე წამოიზარდნენ.

ქართული ჭიდაობა ყოველთვის იყო და არის უშრეტი წყარო, საიდანაც ჩვენი რესპუბლიკა იღებს ახალ-ახალ, ნიჭიერ, შესანიშნავი სპორტული მონაცემებისა და ტექნიკის მქონე კადრებს ჭიდაობის ყველა სხვა სახეობებისათვის. აღარაფერს ვამბობთ იმ დიდ სპორტულ და ესთეტიკურ სიამოვნებაზე, რომელსაც ეს რაინდული, ვაჟკაცური, ულამაზესი ჭიდაობა ანიჭებს მაყურებელს, გულშემატკივრებს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რა ღრმად აქვს მას გადგმული ფესვები ხალხში, რომლისთვისაც ქართული ჭიდაობა ეროვნული კულტურის განუყოფელ ნაწილს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სიამაყეს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გასაგებია, თუ რატომ არის ეს სახეობა ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ, თუ რატომ განვიცდით ასე მტკივნეულად ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს ამ მხრივ მუშაობაში.

უკანასკნელ ხანს კი მდგომარეობა მართლაც საგანგაშო იყო: ქართული ჭიდაობა, მისი ორგანიზებული ფორმით, თითქმის ჩაკვდა. არ ტარდებოდა შეჯიბრებები. ზედიზედ რამდენიმე წელია გამოტოვებულ იქნა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ასპარეზობაც კი, როგორიც საქართველოს ფალავნობაა. ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც და სხვაგანაც არაერთხელ გამოთქმულა გულისტკივილი და შეშფოთება ამ შეუწყნარებელი მდგომარეობის გამო.

როგორი მდგომარეობაა დღეს?

არ შეიძლება ითქვას, რომ იგი უკვე დამაკმაყოფილებელი გახდა. არ შეიძლება იმის თქმა ისეთ პირობებში, როცა ჯერ კიდევ მხოლოდ სინანულის მომგვრელ მოგონებად რჩება ნამდვილად მაღალ სპორტულ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებული სხვადასხვა ასპარეზობები ქართულ ჭიდაობაში.

მაგრამ, მეორეს მხრივ, არ შეიძლება არ შევნიშნოთ ისიც, რომ უკანასკნელ ხანს ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმო ძვრები ხდება და რაც ყველაზე უფრო იმედის მომცემია — იგი ხდება სწორედ იმ ორგანიზაციებში, რომლებსაც უშუალო კონტაქტი აქვთ ფართო მასებთან, ქართული ჭიდაობის ხალხურ ტრადიციებთან.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ მეტად დროულ ინიციატივაზე, რომლის მიზანია ქართულ ჭიდაობაში უკანასკნელ ხანს მიმქრალი ტრადიციების აღორძინება. დღეს ჩვენ ვბეჭდავთ მასალებს ასეთივე ღონისძიებების შესახებ. რუსთავში, სადაც სისტემატურად ტარდება საინტერესო შეჯიბრებები სპორტის ამ სახეობაში. ცნობილია ავჭალელთა ძვირფასი წამოწყებაც ამ მიმართებით.

ასე იყო წინათ და ასე იქნება მომავალშიც. ხალხი არ დაივიწყებს თავის საყვარელ სპორტულ სახეობას. საჭიროა, სათანადო ინსტანციებმაც, განსაკუთრებით კი ქართული ჭიდაობის ფედერაციამ, მხარი აუბან ამ სახალხო მოძრაობას. მეტიც — მათ პირდაპირ მოეთხოვებათ სათავეში ჩაუდგნენ, და არა უკან მიყვებოდნენ, ამ სასიხარულო, ამაღორძინებელ ტენდენციებს.

ველით ახალ სიტყვას, ახალ საქმეებს ქართული ჭიდაობის განვითარების ინტერესების საკეთილდღეოდ.

# კონგრესის გადაწყვეტილებანი

ბაზელში (შვეიცარია) დაამთავრა მუშაობა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესმა, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად მოისმინა მსოფლიო პირველობაზე ზონალური ტურნირების ჩატარების საკითხიც.

ევროპაში განზრახულია სამი ზონალური ტურნირის გამართვა. პირველი მოეწყობა ჰოლანდიაში (ოქტომბერში), მესამე — კეჩკემეტში (უნგრეთი) 1964 წლის იანვარ-თებერვალში. ამის წინათ დამთავრდა მეორე ზონალური ტურნირი. მან გამოავლინა საზონათშორისო ტურნირის მხოლოდ ორი მონაწილე (გროსმაისტერები ლ. პორტიში, ბ. ლარსენი). მესამეს გამოავლენს დამატებითი მატჩი ბ. ივკოვსა და კ. რობაჩს შორის, რომელიც მიმდინარე წლის დამლევს მოეწყობა ბელგრადში.

ზონალური ტურნირები მოეწყო აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში. ამერიკიდან საზონათშორისო ტურნირში ითამაშებენ გროსმაისტერები რ. ფიშერი, ს. რეშევსკი და ა. ბისჰაიერი, კანადიდან — საერთაშორისო ოსტატი ა. იანოვსკი.

ცენტრალური ამერიკის ზონის ტურნირი გაიმართება კუბაზე, სამხრეთამერიკული — ბრაზილიაში, დასავლეთაზიური — ულან-ბატორში და აღმოსავლეთაზიური — ჯაკარტაში.

საზონათშორისო ტურნირის ჩატარების უფლება მიეცა ჰოლანდიის საჭადრაკო ფედერაციას. ტურნირი გაიმართება 1964 წლის მეორე ნახევარში. მასში ითამაშებს 24 მოჭადრაკე.

როგორც წესი, ზონალური ტურნირები ეწყობა აგრეთვე ქალთა მსოფლიოს პირველობაზეც. უკვე ცნობილია, თუ ვინ ითამაშებს პრეტენდენტთა ტურნირში ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ესენი არიან ლ. ლეინი და გ. გრესერი. ამ ტურნირში უნგრეთს დაეთმო პერსონალური ადგილი. ევროპის ქვეყნების დანარჩენი მოჭადრაკეებისათვის უკვე მოეწყო ერთი ზონალური ტურნირი. მასში პირველი იყო მ. ტეოდორესკუ (რუმინეთი), მეორე — ჰ. კონარკოვსკა (პოლონეთი), მესამე-მეოთხე არიან ზ. კარაკაში (უნგრეთი) და კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია). მეორე დასავლეთევროპული ზონალური ტურნირი შედგება ნოემბერში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

პრეტენდენტების ტურნირი ჩატარდება მოსკოვში 1964 წლის დამლევს.

კონგრესმა გადაწყვიტა XVI საჭადრაკო ოლიმპიადა მოეწყოს ტელ-ავივში (ისრაელი) 1964 წლის 2-24 ნოემბერს. კუბისა და იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციებმა ითხოვეს XVII საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარების უფლება. კონგრესმა უპირატესობა მისცა იუგოსლავიას, როგორც **ფიდეს** დიდი ხნის წევრს და დიდი საჭადრაკო ტურნირების ჩინებულ ორგანიზატორს.

1965 წელს უნდა მოეწყოს ევროპის გუნდური პირველობის ფინალი, რომელშიც ექვსი გუნდი ითამაშებს. კონგრესმა შერჩევითი ტურნირის გაუვლელად პირდაპირ ფინალში დაუშვა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეები. გამოავლინა მესამე მონაწილეც — ჰოლანდია, რომელმაც მოუგო მატჩები ესპანეთსა და ლუქსემბურგს. კონგრესის დადგენილებით მეოთხე მონაწილე გაირკვევა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეიცარიისა და ავსტრიის გუნდების შეხვედრებში, რომლებიც შედგება 14-16 ოქტომბერს. მეხუთე და მეექვსე მონაწილენი კი უნგრეთის, გდრ-ს, ბულგარეთისა და რუმინეთის გუნდების ტურნირში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვეკითხებიან, ვპასუხობთ!

ბაკურიანის ბავშვთა სპორტსკოლის მოსწავლეები ი. ნასყიდაშვილი, ვ. მიქაბერიძე, ლ. ქურდოღლიანი და სხვები, გვთხოვენ ვუამბოთ მათ ხელოვნური საფარიანი ტრამპლინისა და მოსკოვში გამართული ტრამპლინიდან ხტომაში პირველი შეჯიბრების შესახებ. ვსარგებლობთ შემთხვევით და ვბეჭდავთ ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტ ვ. ნიჟნიჩენკოს წერილს.

# პირველი სტარტი, პირველი წარმატება

15 სექტემბერს მოსკოვში, ლენინის მთაზე მწყობრში ჩადგა ჩვენს ქვეყანაში რიგით მეშვიდე ტრამპლინი ხელოვნური საფარით. მის შესამოწმებლად და ზაფხულის პერიოდში გაწეული მუშაობის შესაჯამებლად აქ მოვიდა ჩვენი ქვეყნის 70 საუკეთესო ტრამპლინიდან მხტომელი.

...ტრამპლინი თოვლის გარეშე. ეს სპორტსმენებისათვის ნამდვილი აღმოჩენაა, შესანიშნავი საშუალება, შეინარჩუნო სპორტული ფორმა მთელი წლის განმავლობაში. მსგავსი ტრამპლინი პირველად გამოსცადეს გდრ-ს სპორტსმენებმა. 1957 წლის ზაფხულში მწვრთნელმა ჰანს რენერმა თავის მოწაფეებთან — ჰელმუტ რეკნაგელთან, ჰარი გლასთან და პეტერ ლესერთან ერთად პირველად ჩაატარა წვრთნა უთოვლო ტრამპლინზე.

ამის შემდეგ გერმანელი სპორტსმენები სისტემატურად აწყობდნენ ამ ტრამპლინიდან ხტომებს, რამაც მათ საშუალება მისცა ერთ-ერთი უძლიერესნი ყოფილიყვნენ მსოფლიოში. უთოვლო ტრამპლინიდან ხტომის მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის ჰ. რეკნაგელს — 71 მ.

მალე უთოვლო ტრამპლინები გამოჩნდა სხვა დასხვა ქვეყანაში, ხოლო ჩვენთან იგი აგებულ იქნა 1961 წელს, კოვგოლოვოში.

...მაშ ასე, პირველი მოსკოვური სტარტები. ამინდი შესანიშნავია. 12 საათზე შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნ. უსტინოვი სტარტზე იხმობს ნ. კრასავინს. სპორტსმენის შედეგია 56 მეტრი.

მონაწილენი აჩვენებენ 57,5, 60, 64, 65 მეტრს. დაბოლოს, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ვ. კაპიტონოვმა გაიმეორა რეკნაგელის შედეგი. იგი ჩათვლილი არ იქნა, რადგან კაპიტონოვი დაეცა.

ყველაზე ტექნიკურად და შორს გადახტა ბაკურიანელი სპორტსმენი კ. წაქაძე — 67,5 მ. ამან საშუალება მისცა მას ლიდერი გამხდარიყო. მეორე ცდაზე კვლავ თავი გამოიჩინა ვ. კაპიტონოვმა, რომლის შედეგია 68 მ. ორი ნახტომის ჯამში შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა კ. წაქაძე—231,05 ქულა.

საინტერესო ბრძოლა გაიმართა მეორე ადგილისათვის ნ. შამოვსა და პ. კოვალენკოს შორის. გაიმარჯვა შამოვმა.

— კმაყოფილი ხართ თქვენი შედეგით? — შევეკითხეთ გამარჯვებულ კ. წაქაძეს.

— თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ შეჯიბრების დაწყებამდე მე მხოლოდ 6 ნახტომი განვახორციელე, რასაკვირველია, შედეგით კმაყოფილი ვარ. მე უკან ჩამოვიტოვე ისეთი მოხტუნავეები, რომლებსაც 150-200 ნახტომი ჰქონდათ შესრულებული ხელოვნური ტრამპლინებიდან.

აი როგორ კომენტარს უკეთებს შეჯიბრებას ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი მ. ხიმიჩევი.

— ჩვენს მოხტუნავეებს არასდროს არ დაუწყიათ თავიანთი სეზონი ისე კარგად, როგორც ახლა. მონაწილეთა ხტომები უფრო ტექნიკური გახდა. მაგრამ უნდა აღვნიშნო ჩვენი სპორტსმენების, მათ რიცხვში გამარჯვებულების, მიწაზე დაშვების სუსტი ტექნიკა.

ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. მთავარი ამოცანაა გამოვუმუშავოთ ჩვენს ოლიმპიელებს მიწაზე ზუსტი დაშვება, რადგან საერთაშორისო შეჯიბრებებში მსაჯები ხტომის ამ ელემენტს ძალზე მკაცრად ეკიდებიან.

* * *

**სურათებზე: ზემოთ** — შეჯიბრების დაწყებამდე ასე რწყავენ ტრამპლინის ხელოვნურ საფარს. კ. წაქაძე ამზადებს თხილამურებს — **ქვემოთ.**

ფოტო ვ. ტუტოვისა.

# ბერნში გამოვლენ უძლიერესნი

დღეს შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში იწყება უძლიერეს ხუთჭიდელთა შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე. წინა პირველობებისაგან განსხვავებით, ექსპერიმენტის სახით, შეჯიბრება დაიწყება არა ცხენოსნური კროსით, არამედ ფარიკაობით. ცხენოსნური კროსი მეოთხე დღეს გაიმართება, ხოლო ბოლო დღე დაეთმობა მძლეოსნურ კროსს. მნიშვნელოვნად შემცირებულია ცხენოსნური კროსის დისტანციაც (1500 მეტრამდე), ამასთან ამ სახეობაში მონაწილეს არ შეუძლია 1100 ქულაზე მეტის დაგროვება.

სეზონის განმავლობაში უძლიერეს ხუთჭიდელთა მრავალრიცხოვანმა შეჯიბრებებმა დაგვანახეს, რომ ხუთჭიდელთა ოსტატობის დონე საგრძნობლად გაიზარდა. თუ წინად 5000 ქულას თითო-ოროლა სპორტსმენი გადააბიჯებდა, წელს იგი ხელმისაწვდომი გახდა 3 ქვეყნის 7 სპორტსმენისათვის. აღსანიშნავია, რომ შვიდივე ხუთჭიდელი სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელია.

საინტერესოა, გადავხედოთ თუ რა მაჩვენებლებით ხვდებიან საბჭოთა ხუთჭიდელთა ძირითადი კონკურენტები მსოფლიო პირველობას. დავიწყოთ უნგრელი სპორტსმენებით, რადგან უკანასკნელ წლებში ბრძოლა მსოფლიოში ჰეგემონობისათვის პირველ ყოვლისა, ამ ორი ქვეყნის ხუთჭიდელთა შორის იმართება. გუნდის ლიდერია ოლიმპიური ჩემპიონი ა. ბალცო. იგი მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში ღებულობდა წელს მონაწილეობას და უმრავლეს შემთხვევაში გამარჯვებულის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ადიოდა. ძლიერი ხუთჭიდელები არიან აგრეთვე მისი თანაგუნდელები ფ. ტიორიოკი, ი. ნადი. ეს სამი სპორტსმენი იმ შვიდეულიდანაა, რომლებმაც წელს 5000-ქულიანი ზღვარი გადალახეს.

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ამერიკელ ხუთჭიდელთა კლასი. ამერიკის შეერთებული შტატების ხუთჭიდელთა ნაკრებმა გუნდმა მიმდინარე წლის აპრილში პანამერიკულ თამაშებში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა, ხოლო პირად პირველობაში სამივე საპრიზო ადგილს დაეუფლა. ამერიკელთა ლიდერია 26 წლის რ. ბეკი. იგი ჰარვარდის უნივერსიტეტის აღზრდილია და ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს თავი გამოიჩინა, როგორც მრავალმხრივმა სპორტსმენმა. იგი უნივერსიტეტის ნაკრები გუნდების წევრი იყო ხუთჭიდში შემავალ სპორტის ოთხ სახეობაში. 1960 წელს იგი აშშ-ს ნაკრების კანდიდატი იყო ფარიკაობაში. მასზე დიდ იმედებს ამყარებენ ამერიკული სპორტის მესვეურნი და ტოკიოს ოლიმპიადის ოქროს მედლის მოპოვების პირველ ამერიკელ სპორტსმენად მიიჩნევენ. მაგრამ ამერიკის პირველობაზე მან ჩემპიონის ოქროს მედალი ნაკრების „უხუცეს" წევრს, 28 წლის ტ. მურს დაუთმო, რამაც მის თაყვანისმცემელთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

შვედ ხუთჭიდელებს ევროპაში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავთ. განსაკუთრებით ძლიერნი არიან ისინი ცურვაში. საინტერესოა, რომ მიმდინარე სეზონის არც ერთ შეჯიბრებაში შვედებს არ წაუგიათ, როგორც პირადი, ისე გუნდური პირველობა ხუთჭიდის ამ სახეობაში. გუნდის სავარაუდო შემადგენლობა ასეთია: იანსონი, ედსტედი, სტენმალმი, იუნეფელდტი.

ფინეთი ერთ დროს ძლიერი ხუთჭიდელებით იყო ცნობილი, მაგრამ უკანასკნელ ხანს მათ დასთმეს პოზიციები საერთაშორისო სარბიელზე, თუმცა ფინეთის მიმდინარე წლის პირველობაზე გამარჯვებულმა ხოტანენმა ქულათა საკმაო რაოდენობა — 4763 დააგროვა. პერსპექტიული ხუთჭიდელებია კაია, ხაიკალა და ვანხალა.

თუმცა რუმინელები სპორტის ამ სახეობაში მედლების პრეტენდენტებად ვერ ჩაითვლებიან, მაგრამ იქ თანამედროვე ხუთჭიდი სწრაფი ტემპით ვითარდება და სულ უფრო პოპულარული ხდება. წელს ბუქარესტში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა დ. იონესკუმ. მან წინ მხოლოდ სახელგანთქმული უნგრელი ა. ბალცო გაუშვა.

თანამედროვე ხუთჭიდი გდრ-ში, თუ შეიძლება ასე ითქვას, სპორტის ახალგაზრდა სახეობაა, მაგრამ უკვე ახლა გარკვეული წარმატებები მოპოვებულ იქნა, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათგან ყოველგვარი სიურპრიზია მოსალოდნელი. გდრ-ის 1963 წლის ჩემპიონმა ე. ვერნერმა პირველობა საკმაოდ მაღალი შედეგით — 5226 ქულით მოიგო. ნიჭიერი სპორტსმენებია აგრეთვე ბარტი და მაგდებურგი.

თუ მართალია ანდაზა, რომ სახლში კედლებიც გვეხმარებიან, მაშინ მასპინძლებსაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რადგან შვეიცარიის სპორტის მესვეურებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა მათი ქვეყნის ხუთჭიდელები ღირსეულად წარმდგარიყვნენ მსოფლიოში უძლიერესთა ფორუმზე.

საბჭოთა ხუთჭიდელები შვეიცარიაში მსოფლიო პირველობაზე მეორედ გამოვლენ. პირველად ისინი 1955 წელს მონაწილეობდნენ და გუნდურ მეორე ადგილსა და ვერცხლის მედალთან ერთად თანამედროვე ხუთჭიდის ისტორიაში პირველად ავიდა საბჭოთა სპორტსმენი გამარჯვებულის კვარცხლბეკზე. ეს იყო კ. სალნიკოვი. წელს საბჭოთა გუნდი ი. ნოვიკოვის, ვ. მინეევის, ა. მოკეევისა და ვ. პიჩუშკინის შემადგენლობით კვლავ ეცდება განიმტკიცოს მსოფლიოში უძლიერესთა სახელი. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ერევნელი ი. ნოვიკოვი ფართოდაა ცნობილი სპორტულ სამყაროში. იგი ნაკრებში ყველაზე უფროსია — 34 წლისაა. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მის სპორტულ მაჩვენებლებს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ გასულ წელს მსოფლიო პირველობაზე მექსიკაში პირველი დღის შეჯიბრების შემდეგ იგი მხოლოდ 33-ე იყო, ხოლო შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვერცხლის მედალი მიიღო. თითქმის იგივე გამეორდა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე: პირველი დღის შემდეგ იგი 37-ე იყო, ხოლო საბოლოო ჯამში აქაც ვერცხლის მედალს დაეუფლა. 26 წლის ბაქოელი ვ. მინეევი ნაკრებში პირველად მოხვდა. იგი თანამედროვე ხუთჭიდს 1958 წელს გაეცნო, ხოლო დიდი წარმატებები წელს მოიპოვა: ერევანში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, პირველი ადგილი დაისაკუთრა, შემდეგ მაისში, ლენინგრადში მოწყობილ საერთაშორისო ასპარეზობაზე მესამე იყო, დაბოლოს, საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. მოსკოვის ჩემპიონი, 27 წლის ა. მოკეევი პირველად მიიღებს მონაწილეობას ასეთ დიდ შეჯიბრებაში. კიეველი 23 წლის ვ. პიჩუშკინი კი მეორედ. იგი უკვე იყო მსოფლიო ჩემპიონი 1962 წელს, როცა ჩვენმა ხუთჭიდელებმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა მოიპოვეს.

მაშ ასე, დღეს სტარტს იღებენ მსოფლიოს უძლიერესი ხუთჭიდელები და სპორტული სამყარო ხუთი დღის განმავლობაში საინტერესო ბრძოლის მოწმე იქნება.

ა. ცეხანელი

## ფიზკულტურულ კოლექტივებში

# „სპარტაკი"

როგორც ცნობილია, ოქტომბერში კიევსა და თბილისში ჩატარდება საკავშირო პირადი პირველობა ჭიდაობა სამბოში. ამ დიდ შეჯიბრებას წინ უსწრებს სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო პირველობები. ერთი მათგანი, კერძოდ „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა, ჩატარდა ნიკოპოლში.

შეჯიბრებაზე თავი მოიყარა 150-მდე სპარტაკელმა. პირველობა სტარტიდანვე საქართველოს წარგზავნილების უპირატესობით წარიმართა. ჭიდაობა სამბოში საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ ო. ხეჩუაშვილი, გ. სულაძე, რ. ნახუცრიშვილი, ი. ქვლივიძე, ა. ფიცხელაური, მ. ბუზალაძე. მეორე ადგილები დაიკავეს ზ. გაბარაევმა, ს. ბურჯანაძემ და ი. დათუნაშვილმა.

ზემოჩამოთვლილი მოჭიდავეები მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო პირველობის გათამაშებაში.

# ფეხბურთი

# დღეს მოსკოვში

22 სექტემბრის მატჩი მოსკოვში საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ნაკრებს შორის ორივე გუნდისათვის „გენერალური რეპეტიციაა“ ევროპის თასის თამაშების წინ. როგორც ცნობილია, საბჭოთა ფეხბურთელები 13 ოქტომბერს უნდა შეხვდნენ იტალიელებს, ხოლო ინგლისელები 20 ოქტომბერს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს. ამჟამად როგორც ჩვენი ფეხბურთელები, ისე უნგრელები ამთავრებენ სამზადისს ამ „ძალთა დათვალიერებისათვის“.

გუნდები საკმაოდ კარგად იცნობენ ერთმანეთს: ექვსი მატჩიდან საბჭოთა ფეხბურთელებმა 3 მოიგეს, 2 ფრედ დაამთავრეს და 1 წააგეს, მწვრთნელი ლაიოშ ბაროტი რევანშისათვის ემზადება. როდესაც ზაფხულში უნგრეთის ჩემპიონმა „ფერენცვაროშმა“ მოსკოვში დიდი ანგარიშით (2:6) წააგო საბჭოთა კავშირის ნაკრებთან, უნგრეთის ნაკრების მწვრთნელმა განაცხადა, რომ იგი სათანადო დასკვნებს გააკეთებს 22 სექტემბრისათვის. მატჩის შედეგმა უნდა გვიჩვენოს, თუ როგორი იქნება ეს დასკვნები.

ბაროტის საკმაოდ დიდი სიძნელეები შეხვდა ნაკრებთან მუშაობის დროს. როგორც ცნობილია, ნაკრები უკვე ერთი წელია დატოვა პოპულარულმა მეკარემ გროშიჩმა. ახლა მის „მაგივრობას“ მორიგეობით სწევენ ახალგაზრდები სენტმიჰაილი და ილკუ. ორივე კარგია, მაგრამ, რა თქმა უნდა, მათ არც გროშიჩის გამოცდილება აქვთ და არც მისი ნიჭი. ამიტომ უნგრეთის ნაკრებში მწვავედ დგას მეკარის საკითხი.

მარჯვენა მცველი მატრაი, რომელიც მსოფლიოს ორ ჩემპიონატში მონაწილეობდა, უკვე კარგა ხანია ტრავმირებულია. უნგრელ ჟურნალისტს ვაღს მიაჩნია, რომ იგი მოსკოვის მატჩში უნდა შეცვალოს ნოვაკმა, რომელსაც აქვს საბჭოთა კავშირის ნაკრებთან თამაშის გამოცდილება „ფერენცვაროშის“ შემადგენლობაში. მესეი (№ 3) და შაროში (№ 4) ამჟამად კარგ ფორმაში არიან და მათი შეცვლის საკითხი არ დასმულა.

ბაროტის ყველაზე უფრო აფიქრებს ნახევარდაცვის საკითხი. ადრე ამ ხაზზე უნგრელებს ყავდათ ორი კარგად ცნობილი მოთამაშე შოიმოში და შიპოში. შოიმოშიმ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, როგორც მოიერიშე ნახევარმცველმა. იგი სხვადასხვა იდეალურ ნაკრებებშიც იქნა შეყვანილი და უნგრეთის ფეხბურთის იმედად, „ახალ ბოჟიკად“ ითვლებოდა, მაგრამ დაავადდა „ვარსკვლავური ავადმყოფობით“—რეჟიმის სისტემატურად დარღვევისა და არასპორტული საქციელისათვის იგი ნაკრებიდან იქნა გამოყვანილი, ამასთან უნგრეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში მან ტრავმაც მიიღო. მეორე ნახევარმცველმა, დიდი გამოცდილების მქონე შიპოშმა, რომელიც 4+2+4 სისტემის არჩევის დროს საუცხოოდ ასრულებს მეორე ცენტრალური მცველის ფუნქციას, ამას წინათ უნებართვოდ მიატოვა თავისი კლუბი მტკ და „ჰონვედში“ გადავიდა, რისთვისაც დაისაჯა ნაკრებიდან ერთი წლის ვადით გამოყვანით. ბაროტიმ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან, პრაღაში, რომელიც ფრედ (2:2) დამთავრდა, უკვე სცადა ახალგაზრდა მოთამაშეთა წყვილი: ნადი და როგნადი. მათ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და მიმომხილველთა აზრით, ჯერჯერობით განიმტკიცეს ადგილი უნგრეთის ნაკრებში. მოსკოვში ისინი მეორედ გამოვლენ ნაკრების შემადგენლობაში.

როდესაც ლაპარაკია უნგრელთა თავდასხმაზე, პირველ რიგში აღნიშნავენ ხოლმე მაღალ ტექნიკას. ამ სფეროში უნგრელთათვის არ არსებობს „საიდუმლოება“. მაგრამ მარტო ტექნიკით შორს ვერ წახვალ. ამჟამად უნგრელ თავდამსხმელებს დასჩემდათ მეტად ცუდი ჩვევა — არათანაბარი თამაში. ზოგჯერ ისინი ისეთი ბრწყინვალებით იბრძვიან, რომ ძალა შესწევთ მოუგონ სამყაროს უძლიერეს კოლექტივებსაც კი. ზოგჯერ კი ნაქები უნგრელი „ვარსკვლავები“ სავსებით უხალისოდ მოქმედებენ, მეტოქეებთან შეხლას ერიდებიან. არის შემთხვევები, როდესაც უნგრელებს არ ყოფნით ფსიქოლოგიური სიმტკიცე. ასეთ შემთხვევაში მწვრთნელის ტაქტიკური ნახაზიდან აღარაფერი რჩება.

როგორი შემადგენლობით ითამაშებს უნგრეთის ნაკრების თავდასხმა მოსკოვში? მიმომხილველთა აზრით, „აბსოლუტურად მტკიცეა“ მხოლოდ ორი ვეტერანის—შანდორისა (№ 7) და ფენვეშის (№ 11) პოზიციები. შანდორი უნგრეთის განთქმული „დიდი გუნდის“ „უკანასკნელი მოჰიკანია“ ახლანდელ ნაკრებში. ერთ ხანს მას შეცვლასაც კი უპირებდნენ, მაგრამ აქ მოხდა ორი რამ: ჯერ ერთი, შანდორმა ისევ დაიბრუნა ძველი ფორმა. ბენემ კი ამასობაში კარგად „აითვისა“ ცენტრფორვარდის სპეციალობა. მთლიანად როდი ამართლებენ დიდ იმედებს გერეში (№ 8), ალბერტი (№ 9) და ტიხი (№ 10). სამივე თავდამსხმელი უკვე კარგა ხანია უნგრეთის ნაკრებშია, მაგრამ არათანაბრად თამაშობენ. ამასთან სამივე ფეხბურთელი ხშირად ღებულობს ტრავმას. უნგრეთის ფეხბურთში ყველაზე დისკუსიური ფიგურა ცენტრალური თავდამსხმელი ფლორიან ალბერტი. იგი ამ დღეებში 22 წლის გახდა, მაგრამ უკვე ოთხი წელია თამაშობს ნაკრებში. ბაროტიმ რამდენჯერმე კინაღამ აიღო ხელი ალბერტზე, დიდი ეჭვის შემდეგ შეიყვანა იგი ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატის წინ, მაგრამ შემდეგ ჭაბუკმა ფეხბურთელმა დიდებულად ჩაატარა ეს უძნელესი შეჯიბრება. ახლა ალბერტი ისევ „უქეიფოდაა“. ამიტომ მისი მონაწილეობა მოსკოვის მატჩში, ისევე, როგორც გერეშისა და ტიხის თამაშიც, ზოგმა უნგრელმა მიმომხილველმა კითხვის ქვეშ დააყენა, მაგრამ შეიმჩნევა ერთი გარემოებაც: მართალია, ალბერტს, ტიხისა და გერეშს უკანასკნელ ხანებში გაძლიერებით აკრიტიკებენ, მაგრამ არავინ ასახელებს მათ შემცვლელებს.

„რა მოუვიდა უნგრულ ფეხბურთს?“ ასეთი სათაურით დაიწყო დიდი დისკუსია ბუდაპეშტის გაზეთმა „ნეპსავამ“. მისი მონაწილეები (მათ რიცხვში ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბუკოვი, ცნობილი ფეხბურთელი ბოჟიკი და სხვები) აღიარებენ, რომ უნდა გაუმჯობესდეს ნაკრების წევრთა ფიზიკური მომზადება, რადგან ამ თვალსაზრისით ისინი ნამდვილად არ დგანან თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე. მეტი სისწრაფე და მეტი სიმტკიცე — ასეთია დისკუსიის ყველა მონაწილის სურვილი ნაკრების წევრთა მიმართ.

გ. გამრეკელი

# პირველად
## მსოფლიო პირველობაზე

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდი პირველად მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო პირველობაზე ხელბურთში (7:7). მოგვყავს ქვეჯგუფებში გუნდების განაწილება კენჭისყრის შედეგად:

„ა“ ქვეჯგუფი: გფრ, გდრ, დანარჩენ ორ ადგილზე გავლენ იუგოსლავია-იტალიასა და ამერიკის შეერთებული შტატები-კანადას შორის მატჩებში გამარჯვებულნი.

„ბ“ ქვეჯგუფი: შვეცია, ისლანდია, პოლონეთ-უნგრეთს შორის გამარჯვებული და აფრიკის ქვეყნებს შორის ტურნირში გამარჯვებული.

„ვ“ ქვეჯგუფი: ჩეხოსლოვაკია, დანია, დანარჩენ ორ ადგილზე გავლენ საფრანგეთ-ესპანეთსა და შვეიცარია-ლუქსემბურგს შორის მატჩებში გამარჯვებულნი.

„გ“ ქვეჯგუფი: რუმინეთი, იაპონია, დანარჩენ ორ ადგილზე გავლენ ნორვეგია-ჰოლანდიასა და საბჭოთა კავშირ-ფინეთს შორის მატჩებში გამარჯვებულნი.

# შესამჩნევი იყო გამოუცდელობა

ნამდვილ რეგბის ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს ახალგაზრდობის მოსკოვის ფესტივალის დროს გაეცნენ. ამ საინტერესო თამაშმა მიიზიდა ასობით სპორტის მოყვარული და რეგბმა თანდათან მოიკიდა ფეხი საბჭოთა კავშირში. ახლა რეგბს მისდევენ ჩვენი ქვეყნის 30 ქალაქში. ამიტომ ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით პროფკავშირთა საკავშირო საბჭომ გადაწყვიტა თბილისში ჩაეტარებინა პირველი საკავშირო ტურნირი სპეციალურ პრიზზე. შეჯიბრებაზე დაშვებულ იქნა 6 უძლიერესი კოლექტივი, რომელთა შორის გამარჯვების ძირითად პრეტენდენტად ასახელებენ მოსკოვის „ბურევესტნიკს“. მართალია, პირველ ტურში მან მხოლოდ 5 ქულით (19:14) ძლია სპარტაკელებს (მოსკოვი), მაგრამ ეს სრულებით არ აყენებს ჩრდილს სტუდენტთა თამაშის ტექნიკას.

თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე პირველ დღეს გამართული სამი მატჩიდან მაყურებელთა ყველაზე მეტი ინტერესი გამოიწვია თბილისის „განთიადისა“ და რიგის „დაუგავას“ კოლექტივების შეხვედრამ. მასპინძლებმა უკვე დასაწყისშივე მიაღწიეს გადამწყვეტ უპირატესობას, როცა გ. ტონიამ კარგად განახორციელა გარღვევა, ბურთი დააყოვნა რიგელთა საჯარიმო მოედანზე და ამით 3 ქულა შეძინა კოლექტივს. შემდეგ თბილისელებმა (ი. კიზირიამ) ზუსტად მოახდინეს მისი რეალიზაცია — 5:0.

განთიადელებმა თამაში ააგეს ფეხმალ რეგბისტებზე, რიგელები კი ცდილობდნენ ძალისმიერი თამაშით მიეღწიათ უპირატესობისათვის. მათ მე-12 წუთზე სწორედ ამგვარი ტაქტიკით შეცვალეს ანგარიში — ი. ლეიელმანმა საჯარიმოდან 3 ქულა მოიპოვა, მაგრამ მალე აუტიდან გათამაშებული ბურთი მიიღო გ. ტონიამ და ფეხის ძლიერი დარტყმით გაატარა ძელებს შუა — 8:3.

სტუმრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ანგარიშში სხვაობის შესამცირებლად, ისინი განსაკუთრებით ეფექტურად იყენებდნენ ბურთის აუტში გაგზავნით მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანთან მიახლოვების წესს. შუა ტაიმში ი. ლეიელმანმა ისევ გაატარა ბურთი ძელებს შუა, ხოლო 2 წუთის შემდეგ ნ. ყიფიანმა ისარგებლა სტუმრების შეცდომით დაცვაში და დააყოვნა ბურთი მოწინააღმდეგის ნახევარზე, ი. კიზირიამ მოახდინა მისი რეალიზაცია. შესვენებამდე თბილისელებმა ი. ლეიელმანს მისცეს კარში თავისუფლად დარტყმის საშუალება, ბურთი მოხვდა ძელს და ანგარიში გახდა 13:9 თბილისელთა სასარგებლოდ.

როგორც ჩანს, მასპინძლებმა მთელი ენერგია შეალიეს პირველ ტაიმს, ამიტომ შესვენების შემდეგ დაიკარგა მათი შეტევების სიმწვავე, მაგრამ შეხვედრა მაინც მოიგეს — 16:14.

შედეგი არ არის ცუდი თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს იყო თბილისელთა პირველი ოფიციალური მატჩი ასეთ დიდ შეჯიბრებაში. ცხადია, გამოუცდელობამ ერთგვარი დაღი დაასვა მათ თამაშს, განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა მეორე ტაიმში. თბილისელებს დაეტყოთ დაღლა, დაირღვა რგოლთა მოქმედება, ნაკლები იყო ურთიერთმხარდაჭერა. თუ თბილისელები დარჩენილ მატჩებში მეტი მონდომებით ითამაშებენ, წარმატების იმედი უნდა გვქონდეს.

ი. ასათიანი

• • •

დღეს „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართება მორიგი მატჩები. თამაშობენ: „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი)-„ავანგარდი“ (ოდესა) — 10 საათზე, „დაუგავა“ (რიგა)-„ტრუდი“ (მოსკოვი) — 11.40 საათზე, „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„განთიადი“ (თბილისი) — 13 საათზე.

**სურათზე:** რიგელი ა. სილინში ამაოდ ცდილობს ბურთით თბილისელთა მოედანზე შეჭრას. ზ. მგელაძემ მას არ მისცა ამის საშუალება.

# ფინალი მოახლოვდა

მოახლოვდა „იმედის თასის“ გათამაშების ფინალი. სექტემბრის ბოლომდე ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული გუნდები გამართავენ დასკვნით მატჩებს, რომლებიც გამოავლენს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზისათვის მებრძოლ ოთხ ძირითად კოლექტივს. ჯერჯერობით ქვეჯგუფებში მონაწილე 16 გუნდიდან ფინალში ადგილი უკვე განაღდებული აქვთ საქართველოს ფეხბურთელებს (მწვრთნელები ვ. ელოშვილი და გ. ბაქანიძე). მათ ხუთი თამაშიდან 9 ქულა მოაგროვეს. სხვა კოლექტივებს სასურველი მიზნის მისაღწევად დარჩათ თითქოსდა ერთი ნაბიჯი, მაგრამ ბრძოლები მაინც დაძაბული იქნება უკანასკნელ მატჩებში, რადგან პირველ, მესამე და მეოთხე ქვეჯგუფებში გამარჯვების შანსებს ინარჩუნებს მინიმუმ 2-2 გუნდი.

ქვეჯგუფებში ყველა გუნდს დარჩა თითო მატჩი. მხოლოდ მეოთხე ქვეჯგუფში აქვთ ჩასატარებელი ორ-ორი შეხვედრა ლიტვისა და ბელორუსიის გუნდებს. დღეისათვის სატურნირო ცხრილები ქვეჯგუფებში ასე გამოიყურება:

### I ქვეჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| უზბეკეთის სსრ | 5 | 13—6=+7 | 8 |
| თურქმენეთის სსრ | 5 | 7—5=+2 | 6 |
| ყირგიზეთის სსრ | 5 | 7—10=—3 | 3 |
| ტაჯიკეთის სსრ | 5 | 8—14=—6 | 3 |

### II ქვეჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| საქართველოს სსრ | 5 | 10—2=+8 | 9 |
| აზერბაიჯანის სსრ | 5 | 8—7=+1 | 6 |
| რსფსრ | 5 | 5—6=—1 | 4 |
| სომხეთის სსრ | 5 | 3—11=—8 | 1 |

### III ქვეჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოლდავეთის სსრ | 5 | 14—2=+12 | 8 |
| უკრაინის სსრ | 5 | 11—5=+6 | 7 |
| ლენინგრადი | 5 | 5—14=—9 | 4 |
| ესტონეთის სსრ | 5 | 5—14=—9 | 1 |

### IV ქვეჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიტვის სსრ | 4 | 4—3=+1 | 5 |
| მოსკოვი | 5 | 4—3=+1 | 5 |
| ლატვიის სსრ | 5 | 7—10=—3 | 5 |
| ბელორუსიის სსრ | 4 | 6—5=+1 | 3 |

# „ჩემი მიზანია გოლების გატანა“

გერმანელი ჟურნალისტი ფ. ჰაკი შინაური კაცია სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელთა წრეებში. იგი მუდმივად ცხოვრობს ბუენოს-აირესში და ხშირად აქვეყნებს თავის წერილებს ევროპის სპორტულ ჟურნალ-გაზეთებში. ჰაკი ხშირად მოგზაურობს ფეხბურთის „მექაში“ — ბრაზილიაში, სადაც ინტერვიუ აუღია მრავალ გამოჩენილ ოსტატთან. ჰაკმა ამას წინათ გამოაქვეყნა წიგნი „პელე“. მოგვყავს ის ადგილები ჟურნალისტისა და ფეხბურთელის საუბრიდან, რომლებიც ინტერესმოკლებული არაა ჩვენი მკითხველებისათვის:

**— რომელი დღეები იყო უბედნიერესი თქვენს ცხოვრებაში?**

— ასეთი დღე ჩემს ცხოვრებაში ორი იყო. პირველად თავი უბედნიერესად ვიგრძენი შვეციაში 1958 წელს, როდესაც ჩვენმა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ჟიულ რიმეს თასის“ VI გათამაშებაში, მეორედ კი 1962 წელს, როდესაც ჩვენ შევინარჩუნეთ მსოფლიო ჩემპიონობა ჩილში.

**— თამაშის რომელი სისტემა მიგაჩნიათ საუკეთესოდ?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ყველაზე უკეთესი სისტემაა 4+2+4. ეს სისტემა ახლა საყოველთაოდ იქნა აღიარებული, იგი კონკურენციის გარეშეა.

**— რომელ გუნდებს ჰყავთ ყველაზე ძლიერი დაცვა?**

— იმ გუნდებიდან, რომელთანაც მე მითამაშია, ყველაზე ძლიერი დაცვა ჰყავთ იტალიის ახლანდელ ჩემპიონს მილანის „ინტერნაციონალესა“ და არგენტინის არაერთგზის ჩემპიონს, ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტს“.

**— რამდენი გოლი გაქვთ გატანილი თქვენს ცხოვრებაში?**

— ამაზე ვერაფერს გიპასუხებთ, რადგან ფეხბურთის სტატისტიკოსი არ გახლავართ. ჩემი მიზანია გოლების გატანა და არა მათი რაოდენობის თვლა.

**— გსურთ თუ არა ითამაშოთ მეკარედ?**

— მე ამ ადგილას ვთამაშობ, როცა ეს საჭიროა. მოგეხსენებათ, რომ მსოფლიო ჩემპიონატების მატჩებში მოედანზე მოთამაშის შეცვლა არ შეიძლება. სწორედ ამიტომ მსოფლიო ჩემპიონატების დროს მე ვითვლებოდი „სათადარიგო მეკარედ“, რადგან ჟილმარის შესაძლო ტრავმის შემთხვევაში მისი ადგილი უნდა დამეკავებინა. ამიტომ გავდიოდი სათანადო ვარჯიშსაც.

**—ღებულობთ მიწვევას ევროპული კლუბებისაგან?**

—ხშირად, უთვალავი რაოდენობით, მაგრამ მინდა ყოველთვის ჩემს სამშობლოში, ბრაზილიაში ვითამაშო. აქ ხომ საწყალი ფეხსაცმელის მწმენდავი ბიჭიდან შეძლებული ადამიანი გავხდი. მინდა მეტი სარგებლობა მოვუტანო ჩემს ნაკრებს.

**— გინდათ კინოვარსკვლავი გახდეთ?**

— შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ფილმშიაც ჩემს საქმეს გავაკეთებ — ფეხბურთს ვითამაშებ.

**— გაქვთ თუ არა მანქანა?**

— ორი ავტომანქანა მაქვს, მაგრამ მათში იშვიათად ვჯდები.

**— რომელი იყო უძვირფასესი საჩუქარი თქვენს ცხოვრებაში?**

— როდესაც 1958 წელს შვეციიდან მსოფლიო ჩემპიონად დავბრუნდი, მივიღე [illegible] საჩუქარი ჩემს [illegible] ხლდათ დედა[illegible] გეტრები.

**— რომელი წლიდან თამაშობთ ფეხბურთს?**

— რვა წლიდან, თუმცა თამაშის თეორიისა და ტაქტიკის საკითხები ჩემთვის, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო გვიან გახდა ცნობილი, როდესაც პროფესიონალურ გუნდში დავიწყე თამაში.

# ღია ჩემპიონატი

ფორესტ-ჰილში დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში მსოფლიოს უძლიერესი მოთამაშეების მონაწილეობით. საყურადღებოა, რომ თვით ამერიკელმა ჩოგბურთელებმა ვერ გაუძლეს უცხოელთა კონკურენციას და შეჯიბრების ადრეულ სტადიაზე გამოვიდნენ ბრძოლიდან. ყველა საპრიზო ადგილი უცხოელებს დარჩათ.

ვაჟთა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რ. ოსუნა (მექსიკა) და ფ. ფროლინგი (კანადა). გაიმარჯვა ოსუნამ (7:5, 6:4, 6:2) და აშშ-ს ჩემპიონობა მოიპოვა.

ქალთა შორის მეტად ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდა ორი გამოჩენილი ჩოგბურთელი. ამჟამად მოყვარულთა შორის № 1 მოთამაშედ აღიარებული მ. სმიტი (ავსტრალია) და მ. ბუენო (ბრაზილია). გაიმარჯვა ბუენომ (7:5, 6:2).

АПН

# სამი ასკარის ბედი

**1925 წელს მონტლერში (იტალია) პროფესიონალ ავტომობილისტთა შეჯიბრებაზე მოწყობილ ადგილი ჰქონდა ავარიას. ერთ-ერთ მანქანიდან**

ძლივსძლიობით გამოიყვანეს ნახევრად დამწვარი სპორტსმენი. იგი ჯერ ცოცხალი იყო, მაგრამ საავადმყოფოსაკენ მიმავალ სასწრაფო დახმარების მანქანაში გარდაიცვალა. მისი სახელი და გვარი ანტონიო ასკარი იყო. შეჯიბრების წინ მას შეუსრულდა 36 წელი.

მეორე შემთხვევას ადგილი ჰქონდა 1955 წელს. მონცეს (იტალია) გზატკეცილზე გამართულ შეჯიბრებაზე წინ გაჭრილი მანქანა ორჯერ გადაბრუნდა. ცეცხლწაკიდებულ ავტომობილიდან გამოიტანეს სპორტსმენის გვამი. მას ეძახდნენ ალბერტო ასკარის. იგი 40 წლის იყო.

ეს ამბავი 1963 წელს მოხდა, კვლავ მონცეს გზატკეცილზე. დიქტორმა გამოაცხადა: ტონინო ასკარი, 24 წლის. რა არის ეს? სამივე სპორტსმენი ერთი გვარის არიან თუ, რაა?! ისინი ერთმანეთის ბაბუა, მამა და შვილი იყო.

1925 წელს დაღუპული ანტონიო ასკარი გამოჩენილი! სპორტსმენი კი არა, რიგითი პროფესიონალი იყო, რომელიც ოჯახის გამოსაკვებად ამ საშიში პროფესიის წყალობით ცოტაოდენ ფულს იღებდა. მამის სიკვდილის შემდეგ, მის გზას დაადგა ალბერტო ასკარი. იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა და ყველაფერი კარგად მიდიოდა 1955 წლამდე. ამის შემდეგ ალბერტოს ვაჟმა განაგრძო მამის გზა. ახალგაზრდა სიამოვნებით მიიღეს იტალიის პროფესიონალური სპორტის მესვეურებმა, რადგან კარგ რეკლამას — „სამი ასკარი ჩვენს ავტოსპორტში“, — დიდი შემოსავალი მოჰქონდა.

დიახ, ისინი სამნი იყვნენ, მაგრამ აქედან ორი დაიღუპა ზეთითა და სისხლით შეღებილ გზატკეცილზე.

# ზედმეტი ბილეთი

ხვალ „დინამოს“ სტადიონზე ჩვეულებრივ დაუსტვენს მსაჯი, გავარდება ბურთი. ორმოცი ათასი კაცი ერთხმად დაიგუგუნებს. მე კი? როგორ, მეორმოცათასე კაციც არ უნდა იყო ქალაქში? სტადიონზე შესასვლელი ბილეთები ჩვენს საწარმოშიც მოიტანეს, მაგრამ რად გინდა. რვა ბილეთი დირექტორმა წაიღო, ხუთი—დირექტორის მოადგილემ, ხუთიც—მთავარმა ინჟინერმა, სამი უფროსმა ტექნოლოგმა, ორორი საამქროთა უფროსებმა... და თვითონაც მიხვდებით, რომ კლუბის გამგეს არავინ არ ახსენებდა. ამაზე გული არ დამწყვეტია, რადგან ყოველთვის ასე ხდებოდა. როგორც ყოველთვის, ჩემი ერთადერთი იმედი იყო, სტადიონის მისადგომებთან ვინმე ღვთისნიერის ძებნა, რომ იქნებ ორმაგ ან უკიდურეს შემთხვევაში სამმაგში მოეცა ბილეთი. ეს შინაურებმაც იციან და, როგორც წესი, ყოველ თამაშზე ბილეთის შესაძენად მაძლევენ ხუთ მანეთს. ამიტომ მე დაოსტატებული ვარ „ზედმეტი ბილეთის“ შოვნაში და ვცდილობ მოგება დამრჩეს.

ახლაც, სწორედ ოცნებაში სტადიონის მისასვლელთან ვტრიალებდი, რომ დირექტორის მდივანმა გამომიძახა. მისვლისთანავე მან დირექტორის კარზე მიმითითა. მორიდებულად შევაღე კარი. დირექტორს მაგიდაზე სტადიონის შესასვლელი ბილეთები ელაგა და რაღაცას ბუტბუტებდა. ბილეთების დანახვაზე რაღაცამ ტვინში მიჩქმიტა, მერე ეს რაღაცა გულისკენ დაიძრა და იგი უანტენო რადიომიმღებივით აბრიალა. დირექტორი კვლავ ბუტბუტებდა: ორი გურანდუხტის დეიდაშვილის გერს, სამი ჩემს თვალდასათხრელ სიდედრს, ორი სიდედრის დისშვილს...

— ერთი მე, გავიფიქრე ჩემდაუნებურად.

დირექტორმა თავი ზევით წამოსწია.

— ა, მოდი ტარიელ? ახლა მინდა შენი ტარიელობა.

— გისმენთ, ბატონო კონდრატ კოხტოვიჩ.

— მე ქვისლი მყავს ერთი, ისიდორე.

— ერთის მეტი არა, ბატონო? — დირექტორის მაგიდის ლამფასავით მოვიკაკვე. დირექტორმა ქვედა ტუჩი მარჯვნივ მიღრიცა.

—ბიჭო, ისიდორე ყოველ სტუმრობაზე ცხვარს მიკლავს, იცი შენ?

— ჰყავს, ალბათ, ბატონო.

დირექტორმა სულ სხვა მკითხა.

— რომელი სოფლიდან ხარ, ბიჭო, შენ?

— პაპაჩემი და ბაბო ვაქირში ცხოვრობენ, ჩვენ, აქა.

— ოჰო! — წამოიძახა დირექტორმა და მსხვილი წითელი ფანქარი ხელში აათამაშა. — ვაქირის ღვინოს არა უშავს, ხომ?

— აქებენ, ბატონო.

დირექტორმა პაუზა გააკეთა.

— გული რომ მტკივა, ხომ იცი?

— ვიცი, ბატონო.

— ჰოდა, მალაზიის ღვინოს ვერ ვსვამ. აი მანქანა, გაფრინდი ხვალ დილით ვაქირში და მიყიდე ერთი ათი ბოთლი ღვინო. ნამდვილი, იცოდე.

— რას ამბობთ, ბატონო, პაპაჩემი ხომ მომკლავს, ფული რომ ვუხსენო.

— კაი, მაშინ გავათავეთ საქმე.

მეორე დილით დირექტორის საკუთარი „ვოლგით“ ვაქირში ამოვყავი თავი. დირექტორის სახელი რომ ვუხსენე პაპას, იფიქრა ჩემი შვილიშვილი დაფასებული კაცი ყოფილაო და ის ქვევრი მოხადა, რომელშიც ყველაზე უკეთესი ღვინო ეგულებოდა..

დირექტორის ქვისლი ისიდორე ადრე მოსულიყო და ოცლიტრიანი კასრი პირდაპირ სასადილოს სადირექტორო კაბინეტში შევიტანე. ისიდორემ ჰაშნიკი რომ გაუსინჯა ღვინოს, იყვირა.

— ჩქარა ახლა, ჩემო კონდრატე, მარილიანად ყველაფერი გამოვცვალოთ სუფრაზე, თორემ მომწამლა ოცდასამის სუნმა.

ხელმეორედ გაიშალა სუფრა. თამადობა დაიწყო ისიდორემ. მოჰყვა და მოჰყვა ისიდორე, დედიანბუდიანად ამოლოცა მთელი საქართველო, მესამე ჰიქის შემდეგ შუბლზე აკოცა დირექტორს, მეოთხეზე— ყვრიმალებში მთავარ ინჟინერს, მეხუთეზე — დირექტორის მოადგილეს, მეექვსეზე — ტექნოლოგს... ხოლო მერვე ჰიქაც რომ ფსკერამდე ჩაიყვანა, — არც მე გამომრჩი.

ამასობაში ვიღაცამ სტადიონი ახსენა. ისიდორე ფეხზე წამოიჭრა, ხელში ბოთლი დაიჭირა და იყვირა:

— ერთმა კაცმა რომ გადგას აქედან ფეხი, ამ ბოთლს თავზე გადავაფშვნი, მერე ჩავულაპავ ჩანგლებს, ჰიქებს, სამარილეებს და ვნახავ ერთი სტადიონისკენ წახვალთ თუ საავადმყოფოსკენ.

შიშით მუხლები მომეკვეთა. ბოლოს ითათბირეს და გადაწყვიტეს: ბილეთები მოეცათ ჩემთვის და თვითონ დარჩენილიყვნენ იქამდე, სანამ ღვინის უკანასკნელ წვეთს ისიდორე ცერის ფრჩხილზე არ დაიწურავდა.

უცებ ჩემს ხელში აღმოჩნდა ხუთი ბილეთი. რა თქმა უნდა, ერთი მე, ოთხი ზედმეტი. მაშინვე გარეთ გამოვვარდი.

საფიქრელი რა მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ თამაშის დაწყებას ხუთმეტი წუთი აკლდა, დინჯად და ამაყად გავუყევი გზას. ავადმყოფურად მინდოდა შემხვედროდნენ ჩვენი საწარმოს უბილეთო ბიჭები, რომ მათთვის უფასოდ მიმეცა ბილეთები. არ გამიმართლა. ერთ ნაცნობსაც ვერ წავკარი თვალი. ხუთი ბილეთით სტადიონზე ხომ არ შევიდოდი. შევყოვნდი და ჯიბიდან ბილეთები ამოვაძვრინე.

იმ წუთშივე ბუზებივით მომეხვივნენ.

—ერთი მე, ბიძია! — გულზე მომეხუტა ერთი ბიჭი.

უცებ დავიბენი. ყველაფერი და ყოველივე გაუფერულდა ჩემს ირგვლივ. მხოლოდ მესმოდა: — მე, მე, მე...

— მეტი აღარა მაქვს! — ვიყვირე ბოლოს და ბრბოს როგორც იქნა დაუძვერი. ცოტა რომ გავიარე, ჯიბეები მოვიქექე. ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე... მერე ისევ მეოთხე, მეორე, პირველი... ხელში ხუთი მანეთი მეჭირა. ეს როგორ. ნუთუ ხუთივე ბილეთი გავყიდე?!

სტადიონზე თამაში დაიწყო. მაყურებელთა აღტკინებული ქუხილი უკვე გადაევლო ტრიბუნებს და ჩემამდეც მოაღწია. კედელს მივეყრდენი და რამდენადაც კი შევძელი თავსგადამხდარი ამბავი აღვადგინე.

ერთი პატარა ბიჭს, მეორე მელოტს, ამ სიცხეში ჰალსტუხი რომ უკეთია ნაცრისფერ პიჯაკის ქვეშ. მესამე გრძელხელებიანს, ყველას რომ გადმოწვდა ბილეთებს ხელი ჩაავლო. მეოთხე ცალხელას, თავი რომ შემაცოდა. მეხუთე?... მეხუთე იმ ბუზღუნა, ნაყვავილევ კაცს, კინაღამ რომ შემაგინა. ვაიმე! ზედმეტი ბილეთითაც გარეთ დავრჩი!

ეს დღეს, მაგრამ რა უკეთესი მომელის ხვალ, ზეგ, მაზეგ... ნეტა, რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ თამაშის წინადღეს საკუთარი ბილეთი მქონდეს და მეც ისე არხეინად მივდიოდე სტადიონზე, როგორც ორმოციათასი კაცი?

ვ. მახარაძე

რედაქტორი ი. უბულავა.

ფეხბურთი

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

დ ღ ე ს

„იმედის თასის“ გათამაშება
(მოზარდთა გუნდებს შორის)
საქართველო (ნაკრები)-
სომხეთი (ნაკრები)
დასაწყისი 17 საათზე.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 01207